კულტურული ლანდშაფტის გეოგრაფიული თავისებურებანი და პერსპექტივები

სოფია ლოლაძე

e-mail: loladzesofia09@gmail.com ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ანოტაცია

საქართველო მისი მცირე ფართობის მიუხედავად გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, კულტურით, ისტორიით, ტრადიციებით, თუმცა ამჟამად არცერთი კულტურული ლანდშაფტის სახე არარის აღიარებული იუნესკოს მიერ. კულტურული ლანდშაფტის დაცვა მნიშვნელოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის, როგორც მემკვიდრეობა მომავალი თაობებისათვის.

ნაშრომში განხილულია კულტურული ლანდშაფტის შესახებ სხვადასხვა ასპექტები იუნესკოს მაგალითზე დაყრდნობით, მსოფლიო გამოცდილება ამ სფეროში და ნომინაციისათვის შესაძლო მაგალითები საქართველოდან.